საერთო საგნები

კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა

Cultural Heritage and Modernity

კურსის გამოკვეთს თანამედროვე ეპოქაში კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობას და მის როლს საქართველოს სახელმწიფოს სტრატეგიული განვითარების პროცესში; სტუდენტებს მიაწოდოს კონცეპტუალურად გააზრებული ინფორმაცია არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების ნიმუშების, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, რაობის, მათი დაცვის და ადაპტაციის პრობლემატიკის შესახებ.

სამუზეუმო საქმე: თეორია და პრაქტიკა

Museology: History and theory

კურსი სტუდენტებს გააცნობს მუზეუმების წარმოშობის სოციალურ და კულტურულ ასპექტებს.Mმის ფარგლებში მოხდება მუზეუმის, როგორც დინამიკური დაწესებულების, განხილვა პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური ცვლილებების კონტექსტში; მუზეუმების სტურქტურები და ფუნქციონირების, მუზეუმების შესახებ თანამედროვე თეორიების შესწავლა, საქართველოს მუზეუმების თანამედროვე მეთოდოლოგიური ანალიზი.

საკურატორო და საგამოფენო საქმე, პროექტის მენეჯმენტი - თეორია და პრაქტიკა

Curatorial and exhibition work; Projectmanagement – theorie and practise

კურსის გავლის შემდეგ სტუდენტები აითვისებენ კულტურის მენეჯმენტის ძირითად მიმართულებებს, საკურატორო და საგამოფენო საქმეს, შეძლებენ პროექტების შედგენასა და განხორციელებას. სასწავლო კურსისს განმავლობაში სტუდენტები შეისწავლიან კულტურის მენეჯმენტის ძირითად მიმართულებებს - ურთიერთობათა ტიპები, პროექტის მენეჯმენტი, საზოგადოებასთან ურთიერთობა, მარკეტინგი, კურატორული და საგამოფენო პრაქტიკა, პრეზენტაცია.

თანამედროვე ესთეტიკის აქტუალური პრობლემები

Actual problems of Contenporary Aesthetics

კურსის ფარგლებში მაგისტრატები გაეცნობიან თანამედროვე სამყაროსათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი სპეციფიკური ნიშნის - საყოველთაო ესთეტიზაციის - ძირითად თავისებურებებს, რომელიც, პირველ რიგში, ასახვას პოვებს ასთეტიკურის-კლასიკური პარადიგმის ტრანსფორმაციაში. ტრანსესთეტიკურად მეოცე საუკუნის დასასრულის ესთეტიკური დისკუსიების ერთ-ერთ მთავარ დომინანტს ოცდამეერთე საუკუნის მხატვრულ-ესთეტიკური განვითარების პერსპექტივების მონიშვნა

წარმოადგენს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდება პოსტპოსტმოდერნიზმი - რომელიც დღეისათვის ყველაზე დამაჯერებელ პრეტენზიას აცხადებს ტექნოვირტუალისტიკის ტრანსსენტიმენტალიზმის სახით.

I მოდული

საქართველო და ქრისტიანული სამყარო: ხუროთმოძღვრების ტიპოლოგიის საკითხები

Georgia and the Christian World: The architectural typology issues.

კურსის მაგისტრანტებს მიაწვდის ფაქტობრივი მასალას ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ფორმირების, განვითარების თავისებურებების, არქიტექტურულ ტიპთა მახასიათებლების შესახებ; გამოკვეთს საქართველოს ხუროთმოძღვრების როლს აღმოსავლეთ ქრისტიანულ სამყაროში მიმდინარე პროცესებში; სხვადასხვა არქიტექტურული ტიპის ძეგლების განხილვის ფონზე წარმოაჩნდება ქრისტიანული აღმოსავლეთის ქვეყნების (ბიზანტია, სირია, სომხეთი) ხუროთმოძღვრებასთან ურთიერთმიმართების საკითხები.

რელიქვიები და ხატები შუა საუკუნეების საქაართველოში

Relics and Icons in Medieval Georgia

სალექციო კურსი ხელოვნების ისტორიის სპეციალობაზე ბაკალავარიატის ზოგადი კურსის გავლის შემდგომ სტუდენტებს გაღრმავებულ, პროფესიულ ცოდნას მისცემს შუა საუკუნეების ქართული მხატვრული ტრადიციის განვითარების ისტორიისა და თავისებურებების თაობაზე, ხელს შეუწყობს მათში კვლევისა და მეთოდოლოგიური ჩვევების ჩამოყალიბებას. რელიქვიებისა და გამოსახულებათა თაყვანისცემის ტრადიცია, რელიქვიების ადგილი ბიზანტიაში, ქრისტიანულ აღმოსავლეთსა და საქართველოში, ურთიერთგავლენათა ნიშნები, მსგავსებები და განსხვავებები _ ყოველივე ეს დღევანდელი მედიევისტიკისათვის აქტუალურ პრობლემათა რიგისაა.

ქართული მინიატურა: ხელნაწერის წიგნის გაფორმების ტრადიცია / Georgian Miniature: Decoration of Manuscripts

კურსი მოიცავს ქართული ხელნაწერი წიგნის მხატვრულ-დეკორატიული გაფორმების ისტორიას, მისი განვითარების ეტაპებსა და გზებს VII-XVIII სს, მიმართებას, ერთი მხრივ, შუა საუკუნეების ქრისტიანულ სამყაროსთან (წინა აღმოსავლეთი, ბიზანტია) და, მეორე მხრივ, ისლამურ სამყაროსთან (კერძოდ, ირანთან). ქართული ხელნაწერი წიგნი შეისწავლება გაფორმების ყველა ელემენტით, როგორც ერთიანი მხატვრული ორგანიზმი. კურსის მიზანია მიეცეს სტუდენტებს ქართული ხელნაწერი წიგნის გაფორმების პრინციპების შესახებ სისტემატიზირებული ცოდნა. სტუდენტები გაეცნობიან შუა

საუკუნეების ქართული ხელნაწერი წიგნის მნიშვნელოვან ნიმუშებს, დაცულს როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთის საცავებში, აგრეთვე ბიზანტიური და სომხური ხელნაწერი წიგნის ნიმუშებს, შეისწავლიან თითოეული მათგანისათვის ნიშანდობლივ მხატვრულ თავისებურებებს.

ფერწერული სკოლები შუა საუკუნების საქართველოში

Schools of Painting in Medieval Georgia

ლექციათა წინამდებარე კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან შუა საუკუნეების ქართულ მონუმენტურ ფერწერას; შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის ძეგლების განხილვის საფუძველზე დამოუკიდებელი მხატვრულ-იკონოგრაფიული ანალიზის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.

II მოდული

უახლესი დროის სახვითი ხელოვნების სტრუქტურული ანალიზი/Structural Analysis of Modern Fine Art

კურსის ფარგლებში მაგისტრანტები გაიღრმავებენ ცოდნას უახლესი დროის მხატვრობაში (XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან – XXI საუკუნემდე). ეს, პირველ რიგში, მოხდება ამ პერიოდის სხვადასხვა მიმართულებებისა თუ ინდივიდების, მხატვრული მეთოდის მოაზრებით მხატვრულ ნიმუშთა სტრუქტურული ანუ წყობისეული ანალიზის საფუძველზე. ამდენად, მაგისტრანტი სტულყოფილად აითვისებს მისი პროფესიისთვის ყველაზე მთავარ მეთოდოლოგიურ საფუძვლებს – მხატვრული მთლიანობის ანალიზს, იმ კავშირთა გამოვლენასა და წარმოჩენას რომელნიც განსაზღვრავენ მთელში ნაწილთა ურთიერთქმედებას და შესაბამისად მხატვრულ შინაარს.

XX–XXI საუკუნის სცენოგრაფია. ეტაპები და ტენდენციები

სასწავლო კურსის ფარგლებში XX–XXI საუკუნის სცენოგრაფიის ხელოვნების ევოლუციის სტილისტური თავისებურებების ანალიზია გათვალისწინებული. მსოფლიო და ქართული თეატრალურ–დეკორაციული ხელოვნების განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპების, მიმართულებებისა და ძირითადი კონცეფციების შესწავლა, ტრადიციული თუ ექსპერიმენტული ტიპის თეატრების სცენაზე განხორციელებული სცენოგრაფიული ნამუშევრების, საეტაპო მნიშვნელობის სპექტაკლების, ცნობილი პროექტების და სცენოგრაფიული ექსპერიმენტების განხილვა, თეატრალური არქიტექტურის, სცენის დიზაინის მიმდინარე პროცესების შეფასება.

კინოენის ჩამოყალიბება და განვითარება XX ს.-ის კულტურულ კონტექსტში/Cinema Language: Formation and Devolopmant in XX c Cultural Context

კურსის ფარგლებში სტუდენტები XX ს.-ის კულტურაში მომხდარი ძირეულ ცვლილებებსა და მიმდინარე პროცესებს და ამ კონტექსტში კინოს, როგორც ახალი ვიზუალური კომუნიკაციის საშუალებას, გაეცნობიან, მოხდება კინოხელოვნების გავლენის ზოგად კულტურულ პროცესებზე და პირიქით, მასში ამ მოვლენათა რეფლექსირების საკითხთა განხილვა.

თანამედროვე ვიზუალური ხელოვნება

Contemporary visual art

კურსი სტუდენტებს გააცნობს XX საუკუნის მეორე ნახევრის ევროპისა და აშშ-ს ხელოვნების წამყვან დარგებსა და მიმდინარეობებს - მხატვრობას, პლასტიკას, ობიექტს, პერფორმანსს, ვიდეოარტს, აბსტრაქტულ ექსპრესიონიზმს, ახალ რეალიზმს, პოპ-არტს, მინიმალ არტს, ლენდ არტს, კონცეპტუალურ ხელოვნებსა და სხვ. სტუდენტები შეისწავლიან გამოჩენილ ხელოვანთა შემოქმედებას, მათ თეორიებსა და კონცეფციებს; გაეცნობიან როგორც ცალკეულ შემოქმედთა მოღვაწეობას, ასევე ე.წ. "მეორე მოდენიზმის" ახალ ტენდენციებს, აქტუალურ სახელოვნებო პროცესებს, აღნიშნულ პერიოდში წარმოქმნილ სკოლებსა და დაჯგუფებებს, მათ მნიშვნელობასა და ზეგავლენას თანამედროვე ხელოვნების განვითარებაზე.

პოსტმოდერნიზმი

Postmodernism

სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან პოსტმოდერნისტული ეპოქის კულტურისა და ხელოვნების ძირითად სფეროებს, ტენდენციებს და თავისებურებებს; გაეცნობიან პოსტმოდერნზმის ჩამოყალიბების ისტორიას და მის განვითარებას სხვადასხვა ქვეყნებში; პოსტმოდერნისტული კულტურის მნიშვნელოვანი წარმომადგენლების შემოქმედებას; შეისწავლიან თუ როგორ აისახა პოსტმოდერნიზმი ხელოვნების სხვადასხვა დარგებზე (არქიტექტურა, მხატვრობა, პლასტიკა, ახალი მედიები და სხვ.); გაეცნობიან პოსტმოდერნისტულ კონცეფციებსა და თეორიებს.

III მოდული

კანონმდებლობა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში

Legislation of Cultural Heritage

სასწავლო კურსი ფარგლებში გათვალისწინებულია კულტურული მემკვიდრეობის სფეროში არსებული ეროვნული და და საერთაშორისო კანონმდებლობის, ნორმატიული და კანონქვემდებარე აქტების გაცნობა, სამუზეუმო ეთიკის ნორმებისა და სტანდარტების, სამუზეუმო დაწესებულებისა და კოლექციების მართვის, დაცვის, დაზღვევისა და სხვა ნორმატიული აქტების სათანადოდ გამოყენების შესწავლა. კურსი შეისწავლის აგრეთვე ისეთ საკითხებს, როგორიცაა: საავტორო უფლებები, პუბლიკაციები, სახელმწიფო და საერთაშორისო კანონმდებლობა სამუზეუმო სფეროში, კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო ორგანიზაციების (ICOM, ICOMOS, ICOM-CC და სხვ.), ეთიკის ნორმები, დაზღვევისა და გადასახადების ფორმები

კოლექციების მოვლა, პრევენციული კონსერვაცია
Caring of Collections-preventive conservation

სტუდენტები შეისწავლიან კონსერვაციისა და რესტავრაციის ისტორიას, მიზნებს, მნიშვნელობას, სამუზეუმო ექსპონატების სტრუქტურულ აგებულებას, დაზიანების გამომწვევ სავარაუდო მიზეზებს და მათი თავიდან აცილების გზებს, თანამედროვე ეროვნულ და საერთაშორისო სამუზეუმო სივრცეში აპრობირებულ გამოცდილებას კონსერვაციისა და რესტავრაციის სფეროში. ამასთანავე, სტუდენტები გაეცნობიან სამუზეუმო ექსპონატების კონსერვაციისა და რესტავრაციის პროცესში გამოყენებული მასალების სპეციფიკას, ექსპონატებთან მოპყრობის (შენახვა, შეფუთვა, ტრანსპორტირება, ექსპონირება, კვლევა და სხვა) წესებს საერთაშორისო პროფესიული ეთიკის ნორმების გათვალისწინებით.

არტ-მენეჯმენტი (თეორია და პრაქტიკა)

Art management: theory and practice

სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეიძენენ პროფესიულ ცოდნას ხელოვნების ინსტიტუციების მართვის თეორიასა და პრაქტიკაში, გაეცნობიან იმ მოვლენებისა და აქტივობების სისტემებს, რომელთა საფუძველზე იქმნება პირობები და გარემო კულტურისა და ხელოვნების განვითარებისათვის. სტუდენტი გაეცნობა აგრეთვე კულტურის პოლიტიკის პარამეტრებს, მის მოდელებს და ფორმირების ეკონომიკურ, სოციალურ, ეთიკურ და სამართლებრივ ინსტრუმენტებს, კულტურის სფეროს დაფინანსების ფორმებს, საბაზრო ეკონომიკის პირობებში არტ-მენეჯმენტის განვითარების ძირითად კანონებსა და პრინციპებს.

კულტურის დაწესებულებების მარკეტინგი

Marketing in Cultural Institutions

კურსის სტუდენტებს გააცნობს კულტურის დაწესებულებების მარკეტინგსა და საზოგადოებასთან ურთიერთობების იმ ძირითად მექანიზმებსა და ნორმებს, რომლებიც ამ ტიპის თანამედროვე ინსტიტუციების მენეჯმენტის ერთ-ერთ განუყოფელ ნაწილს

წარმოადგენს. კურსი სტუდენტებს გააცნობს მარკეტინგის მნიშვნელობას კულტურის დაწესებულებებისათვის, მის სპეციფიკას და განსხვავებას სხვა ბიზნეს-დაწესებულებების მარკეტინგის პოლიტიკისაგან, თანამედროვე წარმატებული კულტურის ინსტიტუციების - მუზეუმების, გალერეების, თეატრალური, საკონცერტო და სხვა შემეცნებით-გასართობი დაწესებულებების მაგალითებზე.

სამუზეუმო პრაქტიკა

Intership

სასწავლო კურსის ამოცანაა სამუზეუმო პრაქტიკის საფუძველზე სტუდენტს უშუალოდ გააცნოს მუზეუმების საქმიანობის ყველა კონკრეტული მიმართულება თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა მუზეუმებში პრაქტიკის გავლით, კოლექციებისა და მიმდინარე გამოფენების ადგილზე გაცნობით, სტუდენტების აქტიურად ჩართვით სამუზეუმო პროექტების განხორციელებაში, მუზეუმებში გამოფენების მოწყობით და სხვადასხვა სახის სამუშაოების შესრულებით. კურსი ითვალისწინებს პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას მუზეუმებში სხვადასხვა ტიპის სამუშაოების შესრულების საქმეში, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა აქტიურ ჩართვას და ადაპტირებას სამუზეუმო ცხოვრებაში, მათ პროფესიულ დაოსტატებას და კვალიფიკაციის ამაღლებას.

აღმოსავლეთი _ დასავლეთი: მხატვრული სახის ტრანსფორმაცია დროსა და სივრცეში.

East-West-Transformation of the Images in the time and space.

სასწავლო კურსისისლამური ხელოვნების ერთ-ერთი უბრწყნვალესი პერიოდის – სეფიანური ხანის მაგალითზე წარმოადგენს დასავლურ-აღმოსავლურ კულტურულ ურთიერთობებს, მათ გავლენას ირანული ხელოვნების ვიზუალურ სახეებსა და ტრადიციულ ხელოვნების დარგებზე. მათი ტრანსფორმაციისა და ადგილობრივ სახვით ტრადიციებთან ადაპტაციის პროცესს. კურსის მსვლელობისას იქნება მსჯელობა ქართულ ირანულ კულტურულ ურთიერთობებსა და ე.წ. ეკლექტური, ანუ ქართული დაზგური ფერწერის სკოლის შესახებ. სასემინარო მუშაობისას სტუდენტებს განუვითაროს მასალის მხატვრულ-სტილისტური ანალიზის და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.

დროებითი გამოფენების მოწყობა მუზეუმებში

Temporary Exhibitions in Museums

სასწავლო კურსი სტუდენტებს გააცნობს მუზეუმებში დროებითი გამოფენების დაგეგმვის, მოწყობისა და ინტერპრეტაციის თანამედროვე მეთოდებს, პრინციპებს, მიმართულებებს და სტრატეგიას თანამედროვე საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, თეორიული (საგამოფენო პოლიტიკა, ექსპონირების, ინტერპრეტირების მეთოდები და საშუალებები, გამოფენების მომზადების პროცესი) და პრაქტიკული ასპექტების

(საქართველოს მუზეუმების კოლექციების და მიმდინარე გამოფენების გაცნობა, სტუდენტების აქტიურად ჩართვას მუზეუმებში საგამოფენო პროექტების შემუშავებაში, განხორციელებასა და ინტერპრეტაციაში) გამოყენებით.

საქართველოს მუზეუმების კოლექციები

Georgian Museums

სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეიძენენ პროფესიულ ცოდნას საქართველოში არსებული მუზეუმების დაფუძნების მოკლე ისტორიისა და მათში დაცული სხვადასხვა ტიპის კოლექციების შესახებ. განხილული და გაანალიზებული იქნება საქართველოს მუზეუმების ყველა ტიპის კოლექციები (სახვითი ხელოვნება, ისტორიული, ყოფითი, ეთნოლოგიური, საბუნებისმეტყველო, სამეცნიერო კოლექციები), თითოეული კოლექციის წარმომავლობა და დაცულობა. კურსი ზოგად წარმოდგენას შეუქმნის სტუდენტებს საქართველოს მუზეუმებში დაცული კოლექციების ტიპებზე და მათ მნიშვნელობაზე ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის.

სამუზეუმო კოლექციების მართვა

Management of Museum collections

კურსი მაგისტრანტებს შეასწავლის თანამედროვე თეორიებს, მეთოდოლოგიებს, ნივთების შეგროვების, კოლექციების შექმნის, გამოფენების მოწყობის შესახებ. კურსი დაიყოფა ორ ნაწილად თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილებად. თეორიულ ნაწილში საუბარი იქნება იმაზე თუ როგორ ხდება ცოდნის გადაცემა, ხოლო პრაქტიკულ ნაწილში სტუდენტები გაეცნობიან დოკუმენტაციის შედგენის, მენეჯმენტის პრინციპებს. საუბარი იქნება სხვადასხვა ტიპის მუზეუმების კოლექციებზე - სახვითი, საბუნებისმეტყველო, ტექნოლოგიური და სხვ.

პოსტმოდერნისტული კულტურა და კინემატოგრაფი/Postmodern Culture and Cinematography

კუსი განიხილავს XX ს.-ს მეორე ნახევრიდან დღემდე კულტურაში გამოკვეთილი ტენდენციებს; პოსტმოდერნიზმს ხასიათება და მისი თავისებურებების გამოვლენას კინემატოგრაფში.

ფიროსმანის მხატვრული სამყარო / Pirosmani's Art

განხილული იქნება ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედება და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკა. კერძოდ, ის ისტორიულ-კულტურული გარემო, რომელიც არსებითია, ზოგადად, საქართველოსთვის და, კერძოდ, XIX საუკუნის ბოლო მეოთხედისა და XX საუკუნის I ათწლედების ქართული კულტურისათვის. ნაჩვენები იქნება ის ნიადაგი,

რომელიც განაპირობებს ფიროსმანაშვილის მხატვრულ სამყაროს. ნაჩვენები იქნება მისი გაჩენის ლოგიკა და, ამასთან, მისი შემოქმედების უნიკალურობა. მთავარი ადგილი დაეთმობა მისი ნაწარმოებების სახელოვნებათმცოდნეო ანალიზს.

თანამედროვე ქართული ქანდაკება/ Modern Georgian Sculpture

კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია თანამედროვე ქართული მონუმენტური ქანდაკების თავისებურებისა და მისი განვითარების გზების შესწავლა. არჩევითი კურსი – „თანამედროვე ქართული მონუმენტური ქანდაკება“, რომელიც განკუთვნილია ჰუმანიტარული ფაკულტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მიმართულების მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისათვის, დამამთავრებელი ნაწილია ქართული ქანდაკების ისტორიისა. მასში განხილულია გამოჩენილი ქართველი მოქანდაკეების – იაკობ ნიკოლაძის, თამარ აბაკელიას, ელენე მაჩაბლის, კოტე მერაბიშვილის, მერაბ ბერძენიშვილის, ელგუჯა ამაშუკელის, ჯუნა მიქატაძის, თ.კიკალიშვილის, ბიძინა ავალიშვილის, გ. ჯაფარიძისა და სხვათა სემოქმედება.

საგანმანათლებლო პრგორამები მუზეუმებსა და გალერეებში

Museum Education

სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეიძენენ პროფესიულ ცოდნას 21-ე საუკუნის მუზეუმების აუცილებელი კომპონენტის _ სამუზეუმო განათლების სფეროში. გაეცნობიან იმ აქტივობების სისტემებს, რომელთა საფუძველზეც მუზეუმში იქმნება პირობები, როგორც მნახველთა ესთეტიკური ტკბობისათვის, ასევე სოციალურად აქტიურ ადამიანთა თავშეყრის ადგილად გარდასაქმნელად, სადაც ხორციელდება მრავალფეროვანი და მრავალფუნქციური სასწავლო პროგრამები ყველა ტიპის სოციალური, ეთნიკური და ასაკობრივი ჯგუფებისათვის.კურსის მსვლელობისას სტუდენტები ასევე შეისწავლიან ასეთი პრგრამების აგების მთავარ პრინციპებს, მათ შემადგენელ ელემენტებსა და მუშაობის მექანიზმებს.

საკრალური სივრცის პრობლემა წინაქრისტანული არქიტექტურაში

The Problem of Sacred Space in Ancient Architecture

კურსის მისცემს სტუდენტს ცოდნას ამიერკავკასიის, ახლო აღმოსავლეთის, ხმელთაშუა ზღვისპირეთის რეგიონის არქიტექტურის განვითარების უძველესი პერიოდების შესახებ. კურსის საგანს წარმოადგენს როგორც ხსენებული არეალის საცხოვრებელი არქიტექტურის უძველესი ფორმები, ასევე მონუმენტური საკულტო ხუროთმოძღვრების განვითარების უადრესი საფეხურები და მათთვის დამახასიეთებელი კონსტრუქციული სისტემები, შენობათა კომპოზიცური ფორმები, ამ ფორმების გავრცელების გეოგრაფიული არეალები, ქრონოლოგიური ჩარჩოები.

საქართველოს ქალაქების არქიტექტურა/ Architecture of Georgian Cities

მაგისტრანტები შეისწავლიან და სათანადოდ დაამუშავებენ ქართული ქალაქების შესახებ არსებულ ლიტერატურას, უძველესი დროიდან XX საუკუნის დასაწყისამდე. ლექციების მიზანია სრულად და სისტემატურად გაშუქდეს ქართული ქალაქების ისტორია. არსებულ ლიტერატურაზე და საარქივო მასალებზე დაყრდნობით შეისწავლონ ქალაქების ხუროთმოძღვრების განვითარება. როგორ ყალიბდება ქართული ქალაქური არქიტექტურა. რა რჩება ტრადიციული და რა შემოდის ევროპიდან და აზიიდან. ფორმაციათა ცვლილებები რა გავლენას ახდენს ქალაქური ხუროთმოძღვრების განვითარებაზე.

ფოტოგრაფიის ისტორია

History of photography

კურსი სტუდენტებს გააცნობს ფოტოგრაფიის ისტორიას XIX-საუკუნიდან დღემდე. სტუდენტები შეისწავლიან ფოტოგრაფიის წარმოშობის ისტორიას, მის შემდგომ განვითარებას, ძირითად მიმართულებებს, სკოლებსა და მათ წარმომადგენლებს, გამოჩენილი ფოტოხელოვანების შემოქმედებას, თანამედროვე ფოტოხელოვნებაში არსებულ წამყვან ტენდენციებს, ფოტოგრაფიის გავლენას თანამედროვე ხელოვნებაზე; თანამედროვე ხელოვნებისა და ფოტოგრაფიის კავშირებს; სასწავლო კურსი ითვალისწინებს ასევე საქართველოში ფოტოგრაფიის განვითარების ისტორიის გაცნობას და მის განხილვას დასავლეთის თანამედროვე ხელოვნებასთან მიმართებით.

ბიზანტიური ცივილიზაცია (ძირითადი მახასიათებლები და თავისებურებანი)

The Byzantine Civilisation (Main Characteristics and Peculiarities)

კურსის შესწავლა მიზნად ისახავს ბიზანტიის სახელმწიფოსა და ბიზანტიური საზოგადოების დამახასიათებელი თავისებურების, აღმოსავლეთ მედიევალური ქრისტიანული სამყაროს შესახებ, თანამედროვე მედიევისტიკის მიღწევათა საფუძველზე სრულყოფილი წარმოდგენის შექმნას. Bბიზანტიური სახელმწიფოს მართვის სისტემის, სამართლის, დიპლომატიის შესწავლა. საერო და სასულიერო ხელისუფლებათა ურთიერთდამოკიდებულების თავისებურებათა შესწავლა; სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულება. საეკლესიო ლიტურგია და სამეფო ხელისუფლება. ბიზანტიური აზროვნების ფორმა და მისი თავისებურებანი; ბიზანტია და ისლამური სამყარო; ბიზანტია და კათოლიკური სამყარო. ბიზანტიური ფენომენი თანამედროვე დიპლომატისა და აზროვნებაში.

კულტურა და რელიგია კავკასიაში

Caucasian religion and culture

კურსი კავკასიაში კულტურებისა და რელიგიების გავრცელების თანამედროვე სურათისა და ისტორიული დინამიკის წარმოდგენას, მიმდინარე პროცესების კულტურული და რელიგიური საფუძვლების ჩვენებას, კავკასიის ეთნიკურად და კონფესიურად ჭრელ

რეგიონში მიმდინარე პროცესებში ორიენტირების უნარის გამომუშავებას ისახავს მიზნად. კურსი მოიცავს კავკასიაში რელიგიისა და კულტურის პრობლემებთან დაკავშირებულ ძირითად ცნებებსა და კონცეფციებს. სტუდენტები უნდა დაეუფლონ კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, შეეძლოთ პრობლემის დასმა, ინფორმაციის შეკრება და დამუშავება.